ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის სექტემბრის 1.	№ 17	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.
	განყოფილება პირველი	

შინაარსი:

მუხ. 173. ინსტრუქცია მუშათა საბინაო მშენებლობის ფინანსიურად მოგვარებისათვის შემოსავალი სახსარის შეკრეფისა, აღნუსხვისა და ხარჯვის შესახებ.

„ 174. „სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების თაობაზე“ 1926 წ. აგვისტოს 9-ს თარიღით გამოცემული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენლების დამატების შესახებ.

„ 175. „დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების თაობაზე“ 1927 წ. მარტის 26-ს თარიღით გამოცემული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„ 176. შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხ. დამატებისა და შეცვლის შესახებ.

„ 177. კერძო მრეწველობის წარმოების ბამბის-ქულის მაქსიმალურ-უკიდურესი სგასაცემო ფასების შესახებ.

„ 178. სამუშაო ხელფასის ნაშთის სახელმწიფო შემოსავალში შეტანის ვადების შესახებ.

„ 179. „1928-29 წლისთვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ“ 1928 წ. ივნისის 7-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემული ა/კსუსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„ 180. მავთულის ლურსმნის ფასისა და წანამატების შესახებ.

„ 181. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

„ 182. საფინანსო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე მცირეწლოვანი, მოზარდი და მოზარდობას-გადასული შეგირდების შრომის პირობების შესახებ.

„ 183. სამომოიგებლო-საკონფლიქტო ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, რაც დაკავშირებულია მშრომელთა დათხოვნასთან.

„ 184. წესები სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების მიერ დამჭირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 185. თანამდებობათა ჯამაგირის რაოდენობისა და დახასიათების საკითხების გამო აღძრული კონფლიქტების შესახებ, რის განხილვაც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიებს არ ეჭ-ვემდებარებათ ისეთ დაწესებულებებში, სადაც შემოღებულია სახელმწიფოებრივი და-ნორმება.

„ 186. ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ჩატარების კამპანიის პერიოდში ა/კსფსრ ტერიტო-რიაზე ლოტერეებისა და გათამაშების მოწყობის აკრძალვის შესახებ.

„ 187. ინსტრუქცია სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში დაქირავებისა და დათხოვნის უფლების მქონე თანამდებობის პირთა პასუ-ხისმგებლობის შესახებ მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და სასყიდლის გაცემის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის.

„ 188. საშენი მასალის მწარმოებელ და დამპზადებელ სამრეწველო საწარმოთა მშენებელი მუ-შებისა და სეზონის მუშებისათვის დროებითი გაადვილებული ტიპის ბინების მოწყო-ბის წესების შესახებ.

ინსტრუქცია № 2 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

173. მუშათა საბინაო მშენებლობის ფინანსიურად მოგვარებისა-თვის შემოსასვლელი სახსარის შეკრეფისა, აღნუსხვისა და ხარჯვის შესახებ.

დამტკიცებულია ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. მაისის 18-ს (ოქმი № 17).

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ბინების მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ“ 1927 წ. ივნისის 15-ს თარიღითა და „ბინათა მშენებლობის პოლიტი-კის შესახებ“ 1928 წ. იანვრის 4-ს თარიღით გამოცემულ დადგენილებათა და აგრეთვე ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაციის შესახებ“ 1928 წ. მარტის 7-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად—წინადადება გეძლევათ მუშათა ბინების მშენებლობის ფინანსიურად მოგვარებისათვის შემოსასვლელი სახსარის შეკრე-ფისა, აღნუსხვისა და ხარჯვის საქმეში ისარგებლოთ შემდეგი დებულებანი:

1. მუშათა საბინაო მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულე-ბის წესისამებრ დედაქალაქების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებთან, ავტო-ნომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ავ-ტონომიური ოლქების აღმასრულებელ კომიტეტებთან შეიქმნება მუშათა საბი-ნაო მშენებლობის ადგილობრივი ფონდები.

2. ადგილობრივი ფონდი ინახება კომუნალურ და საქალაქო ბანკებში, ხო-ლო იქ, სადაც ეს ბანკები არ არსებობს,—ერთ-ერთ საკრედიტო დაწესებულე-ბაში, და სათანადო საკრედიტო დაწესებულების საერთო კაპიტალებში იგი წარმოადგენს მუშათა საბინაო მშენებლობის ადგილობრივ ფონდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელ კომიტეტსა და საკრედიტო დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, ადგილობრივი ფონდი ამ საკრედიტო დაწესებულებაში მოთავსებულ უნდა იქნეს მოლად გრძელვადიანი ანაბარის სახით, რასაც ბანკი დაარიცხავს სათანადო პროცენტს.

3. ბანკი აწარმოებს ადგილობრივი ფონდის სახსარის ანგარიშზე მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემის ოპერაციებს (კოოპერატიულ ამხანაგობათათვის, წარმოებითი საწარმოთათვის და ინდივიდუალურ მეაღნაგეთათვის მუშათა და მოსამსახურეთაგან) ან გადასცემს ადგილობრივ საბჭოებს—კუთვნილებისამებრ—სახსარს უშუალოდ მუშათა ბინების აგებისათვის, აღდგენისათვის და კაპიტალური რემონტისათვის.

4. აღნიშნულ ოპერაციებს როგორც კრედიტის გაცემისას, ისე სახსარის გადაცემისას ადგილობრივი ფონდის ანგარიშზე ბანკი აწარმოებს იმ გეგმებთან სრული შეთანხმებით, რაც შედგენილ იქნება აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ძირითად მეაღნაგეთა (საბინაო კოოპერატივები, სამეურნეო ორგანოები) და პროფესიონალურ ორგანიზაციათა მონაწილეობით, და რასაც სათანადოდ დამტკიცებს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი უწყებული რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები მოვალენი არიან გამოსცენ, სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით, ინსტრუქცია—ამ გეგმების შედგენისა და მსვლელობის წესის შესახებ და თანაც უზრუნველჰყონ რაც შეიძლება სწრაფი დამტკიცება გეგმებისა.

5. „მუშათა საბინაო მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ წესისამებრ რესპუბლიკანურ ფონდში შესული სახსარი შეიტანება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის დედა-ქალაქის კომუნალურ ან საქალაქო ბანკში, სადაც იგი საერთო კაპიტალებში წარმოადგენს მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანურ ფონდს.

6. ამ წესით შექმნილი რესპუბლიკანური ფონდი მუშათა საბინაო მშენებლობისა გრძელვადიან ანაბარად ითვლება და ამ ანაბარზე კომუნალური ბანკის მიერ დაწესებულ უნდა იქნეს, ბანკისა და სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით, პროცენტული დანარიცხი საკრედიტო დაწესებულებასა და სათანადო შრომის სახალხო კომისარიატს შორის დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების წესისამებრ.

7. რესპუბლიკანური ფონდი იხარჯება მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გრძელვადიანი კრედიტის გაცემაზე შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შედგენილი გეგმის წესისამებრ, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანურ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან, საბინაო კავშირთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და დამტკიცებულ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

8. „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით და 33 №-ით გამოცემული ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-8 მუხ. და „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ“ 1926 წ. აგვისტოს 5-ის თარიღით გამოცემული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების წესისამებრ—საბინაო მშენებლობის ამიერკავკასიის ფონდში შესული თანხები შეიტანება საქართველოს კომუნალურ ბანკში (ტფილისში), სადაც იგი ბანკის საერთო კაპიტალებში წარმოადგენს მუშათა საბინაო მშენებლობის ამიერკავკასიის ფონდს.

9. ამა ინსტრუქციის მე-8 მუხლ. წესისამებრ შექმნილი ამიერკავკასიის ფონდი ითვლება უვადო ანაბარად, რაზედაც ბანკმა უნდა დაიწესოს, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო პროცენტული დანარიცხი ბანკსა და ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს შორის დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების წესისამებრ.

10. ამიერკავკასიის ფონდი ყოველ წელს განაწილებულ უნდა იქნეს რესპუბლიკანურ ფონდებს შორის იმ გეგმის თანახმად. რასაც შეიმუშავებს ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან და ა/კ. საბინაო კოოპერატივების კავშირთან შეთანხმებით, და დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო; ეს ფონდი დაიხარჯება მუშათა საბინაო მშენებლობის რესპუბლიკანური ფონდების ხარჯვის წესისამებრ.

11. უკეთუ სათანადო საწარმო, დაწესებულება და ორგანიზაცია არ შეიტანს ვადაზე ამა ინსტრუქციაში აღნიშნულ ანარიცხს მუშათა საბინაო მშენებლობის ადგილობრივ, რესპუბლიკანურ და ამიერკავკასიის ფონდში, იგი თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის გადაიხდის საურავს შესატანი თანხის 0,05 პროცენტის რაოდენობით. საურავი შედის ადგილობრივ, რესპუბლიკანურ და ამიერკავკასიის ფონდებში—კუთვნილებისამებრ.

12. სახელმწიფო, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაცია და აგრეთვე ადმინისტრაცია სახელმწიფო კაპიტალის ფაქტიური უპირატესი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოებისა (საპაიო ამხანაგობისა), რომლის ძირითად მიზანსაც, მისი წესდების თანახმად, შეადგენს სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაცია,—მოგების ნაწილს, ისეთი რაოდენობით, რაც გადარიცხულ უნდა იქნეს „მუშათა საბინაო მშენებლობის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების“ მე-3 მუხლის წესისამებრ, შეიტანს ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თავის სპეციალურ ანგარიშზე სათანადო კომუნალურ ან საქალაქო ბანკში არა უგვიანეს ორი კვირის ვადისა, არსებული წესისამებრ მისი ბალანსის დამტკიცების დღიდან.

13. ცალკე საწარმოს ფონდი, როგორც წესი, გამოიყენება თვით საწარმოს მიერ მუშათა ბინების აგებისა, აღდგენისა და კაპიტალური რემონტისათვის; კერძო შემთხვევაში, უკეთუ ფონდი საკმარისი არ არის თვით საწარმოს მიერ მშენებლობის განხორციელებისათვის, ამ ფონდიდან შეიძლება გრძელვადიანი სესხი მიეცეს მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატივებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან ამ საწარმოს მუშები, იმ პირობით-კი, რომ იქნება ჯეროვანი გარანტია თვით კოოპერაციის მიერ მონაწილეობის მიღებისა მეპაიეთა საკუთარი სახსარით, და სათანადო პროფესიონალური კავშირის თანხმობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ცალკე საწარმოს ფონდიდან მუშათა საბინაო მშენებლობის კოოპერატივებისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემა მოხდება მარტოოდენ კომუნალური ან საქალაქო ბანკის მეშვეობით. ამ უკანასკნელს სათანადო თანხა გადაეცემა გრძელვადიანი ანაბარის სახით სათანადო საწარმოს მიერ მასთან დადებული განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე.

15. ცალკე საწარმოს ფონდის გამოყენების გეგმას შეიმუშავებს საწარმოს ადმინისტრაცია სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით.

16. მეალნაგეთა მიერ შეტანილი თანხები მათთვის მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდებიდან მიცემული სესხის დასაბრუნებლად მიიქცევა სათანადო ფონდში. იმავე ფონდებში მიიქცევა ის თანხები, რაც შეტანილ იქნება ამა ინსტრუქციის გამოცემამდე საბინაო მშენებლობისათვის გაცემულ სესხთა დასაბრუნებლად.

17. მუშათა საბინაო მშენებლობის ფონდების ოპერაციებით მიღებული მოგება მიიქცევა სათანადო ფონდების გასადიდებლად. აღნიშნული ფონდების ოპერაციებით გამოწვეული ზარალი მიეწერება იმავე ფონდებს.

18. მუშათა საბინაო მშენებლობის ყველა ჩამოთვლილი ფონდის შეკრეფა დაეკისრება ადგილობრივ კომუნალურ ან საქალაქო ბანკებს.

19. აღნუსხვა ყველა იმ სახსრისა—გამოუნაკლისად,—რაც წარმართულ იქნება მუშათა საბინაო მშენებლობისათვის, დაეკისრება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ერთად, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მეშვეობით.

20. დამთავრებულ იქნეს 1928 წ. ივლისის 1-თვის ყველა ზემოაღნიშნული თანხის გადარიცხვა მუშათა საბინაო მშენებლობის სათანადო ფონდებში და აგრეთვე კომუნალურ ბანკებთან ჯეროვან ხელშეკრულებათა დადება.

დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს წარადგინონ 1928 წ. აგვისტოს 1-თვის ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატში ამა ინსტრუქციის წესისამებრ წარმოებული მუშაობის სრული ანგარიშები—ციფრობრივი ცნობებით.

21. გაუქმებულ იქნეს 1, 2, 3 და 6 მუხლ. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის 1926 წ. ნოემბრის 25-ს ინსტრუქციისა „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შენახვისა და ხარჯვის წესის შესახებ“ (გამოქვ. „შრომის კანონმდ. ვესტნ.“ 1927 წ. 10—24 №-ში).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მაგიერ **გაბიევი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავ. საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 176 №-ში 1928 წ. აგვისტოს 1-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

174. „სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების თაობაზე“ 1926 წ. აგვისტოს 9-ს თარიღით გამოცემული ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

„სამშენებლო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ“ 1928 წ. აპრილის 4-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 187) სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-11 მუხლის თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 9-ს თარიღის დადგენილებას „სასეზონო სამუშაოთა შრომის პირობების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-რი, მუხ. 704) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა შრომის კანონთა კოდექსის 34[1] მუხლისათვის:

„**შენიშვნა.** ამა დადგენილების მოქმედება სამშენებლო სამუშაოებზე არა ვრცელდება, გარდა იმ სამუშაოებისა, რაც დამხმარე ხასიათისაა რაიმე ისეთი ძირითადი არა-სამშენებლო სამუშაოს მიმართ, რომელსაც ამა დადგენილების მოქმედება ეხება“.

ა/კ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტ. თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივლისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 177 №-ში 1928 წ. აგვისტოს 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

175. **„დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების თაობაზე“ 1927 წ. მარტის 26-ს თარიღით გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების შესახებ“ 1928 წლის აპრილის 4-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 21 №-რი, მუხ. 187) დადგენილების მე-12 მუხ. თანახმად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მარტის 26-ს თარიღის დადგენილებას „დროებითი მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-7 №-რი, მუხ. 79) დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა შრომის კანონთა კოდექსის 34^{46} მუხლისათვის:

„**შენიშვნა.** „34^{24}—34^{46} მუხლების მოქმედება არა ვრცელდება სამშენებლო მუშაობაში მოსაქმე პირებზე, გარდა წვრილი მომდინარე რემონტის სამუშაოებისა, რაც დაკავშირებული არ არის ძირითად სამშენებლო სამუშაოსთან“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წლის ივლისის 24. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 178 №-ში 1928 წ. აგვისტო 3-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

176. **შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.**

„სხვა ადგილას გადაყვანისა და სხვა ადგილას სამუშაოზე დაქირავებისათვის მისაცემი კომპენსაციის თაობაზე“ 1927 წ. ნოემბრის 9-ს თარიღით გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემული სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. მაისის 16-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1928 წ. 32 №-რი, მუხ. 284) დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1928 წლის იანვრის 16-ს თარიღის დადგენილებაში „შრომის კანონთა კოდექსის 82 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 82 მუხლს დაერთოს შემდეგი შინაარსიის მე-4 შენიშვნა:

„**შენიშვნა 4.** საკითხი სხვა ადგილას სამუშაოდ ახლად დანიშნული მუშისა და მოსამსახურისათვის სამუშაო ხელფასის მიცემისა იმ დროის განმავლობაში, ვიდრე იგი სამუშაო ადგილას მივიდოდეს, გადასწყდება მხარეთა შეთანხმებით“.

2. დაემატოს აღნიშნულ დადგენილების 82[6] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„82[6]. იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომელიც გადაყვანილ იქნება სხვა ადგილას იმის გამო, რომ იგი სათანადო პროფესიონალური ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისა თუ ადგილობრივი საბჭოს ან სექციის ინიციატივით დაწინაურებულია პასუხსაგებ სამუშაოზე დასანიშნავად,—აუცილებლად მიეცემა გზისა და ქონების გადასაზიდი ფული და დღიური სარგო (82[1] მუხლის „ა“, „ბ„ და „გ“ პუნქ.). ერთდროული დახმარება (82[1] მუხლის „დ“ პუნ) მას შეიძლება მიეცეს მხარეთა შეთანხმებით.

იმავე საფუძველზე მიეცემა კომპენსაცია იმ პირს, რომელიც ახლად იქნება დანიშნული პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურების წესით ზემოაღნიშნული ორგანიზაციების ინიციატივით, უკეთუ დანიშვნასთან დაკავშირებით მას მოუხდება მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა.

„**შენიშვნა.** სამუშაო ხელფასი, ახალი სამუშაო ადგილის მიხედვით, პასუხსაგებ სამუშაოზე დაწინაურების წესით დანიშნულ პირს მიეცემა: ვისაც დანიშვნამდე დაქირავებით უმუშავნია—იმ დღიდან, რა დღესაც მას მოესპო სამუშაო ხელფასი წინანდელ სამუშაო ადგილას, ხოლო ვისაც დაქირავებით არ უმუშავნია—82 მუხლის მე-4 შენიშვნის თანახმად“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ივლისის 24. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 179 №-ში 1928 წ. აგვისტოს 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 14 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 23.

177. კერძო მრეწველობის წარმოების ბამბის-ქულის მაქსიმალურ-უკიდურესი საგასაცემო ფასის შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ „კერძო მრეწველობის წარმოების ბამბის-ქულის მაქსიმალურ-უკიდურესი საგასაცემო ფასის დაწესების შესახებ“ ა/წ. თებერვლის 4-ს მიღებული (ოქმი № 32) დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი საგასაცემო საპრეისკურანტო ფასები კერძო საწარმოთა წარმოების ბამბის-ქულაზე ფრანკო-საწარმოს საწყობი:

ხარისხი.	კილოგრ.	ფასი.
№ 0	1 მან.	10 კაპ.
№ 00	1 „	30 „
№ 000	1 „	50 „
№ 0000	1 „	70 „
№ 00000	1 „	80 „

შენიშვნა. აღნიშნულ საპრეისკურანტო ფასად ბამბის-ქულა კერძო წარმოების საწარმოთა მიერ გაიცემა 20 კილოგრამზე არა ნაკლები რაოდენობით გაყიდვის დროს.

2. დაევალოს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა კერძო წარმოების საწარმოს, რომელიც-კი ბამბის-ქულას ამუშავებს:

ა) აწარმოონ აღნიშნული საქონელი შემდეგ ხარისხებად, მოსახმარებელი ნედლეულის შემდეგი თანაფარდობით და შემდეგ ასორტიმენტებად:

ბამბის-ქულის ხარისხის სახელწოდება	ნედლეულის სახელწოდება და პროცენტული თანაფარდობა თვითეული ხარისხის ერთეულში				ასორტიმენტი %%-ლად საერთო ნამუშევართან შედარებით
	ბამბის ლინტერი	უმაღლესი ხარისხის ბამბის ლინტერი	ზეთის გამოხდის ლინტერი. 1 ლინტ.	ზეთის გამოხდის ლინტერი. 2 ლინტ.	
ბამბის-ქულა № 0 . . .	10	—	45	45	არა ნაკლებ 50
„ № 00 . .	10	—	60	30	არა უმეტეს 35
„ № 000 . .	50	—	25	25	„ „ 12
„ № 0000 .	100	—	—	—	„ „ 1
„ № 00000 .	—	100	—	—	„ „ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ბამბის-ქულის ზემოაღნიშნული ხარისხების ტიპიური ნიმუშები ინახება ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველოში და ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

ბ) გამოჰკიდონ საწარმოს სადგომში თვალსაჩინო ადგილას ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საპრეისკურანტო ფასები.

გ) დაწებონ გასაყიდად გამოსაშვებ საქონელს იარლიკები სახელმწიფოებრივ (ადგილობრივ) და რუსულ ენაზე ფირმის სახელწოდებისა, საქონლის სახელწოდებისა და ხარისხისა და აგრეთვე კილოგრამის საპრეისკურანტო ფასის აღნიშვნით.

3. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის ერთი თვის ვადაზე დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 179 №-ში 1928 წ. აგვისტოს 4-ს.

დადგენილება № 58 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

178. სამუშაო ხელფასის ნაშთის სახელმწიფო შემოსავალში შეტანის ვადების შესახებ.

ა/კსფსრ სახალო კომისართა საბჭოს მიერ „ა/კსფსრ-ში სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის შესახებ" 1927 წ. დეკემბრის 1-ს თარიღითა და 56 №-ით გამოცემული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 23 №-რი, მუხ. 247) მე-11 მუხლის შესაცვლელად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

აღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„11. სამუშაო ხელფასისათვის გადადებული სახსარის დაუხარჯავი ნაშთი, 1927-28 საბიუჯეტო წლიდან დაწყებული, ყოველი თვის გასვლისას, შეტანილ უნდა იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატების დეპოზიტში, წლის ბოლოს ხაზინის რესურსებში ჩასარიცხად“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ბომბინი.**

1928 წ. ივლისის 7. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 180 №-ში 1928 წ. აგვისტოს 5-ს.

დადგენილება № 59 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

179. „1928-29 წლისათვის სამუშაო ხელფასის ფონდის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ“ 1928 წ. ივნისის 7-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „1928-29 წლისათვის სამუშაო ხელფასის აღრიცხვის თაობაზე დირექტივების გაცემის შესახებ“ 1928 წლის ივნისის 7-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემული (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 146) დადგენილების 1 მუხ. ლიტერა „ა“-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა.** ლიტერა „ა“-ის თანხა საბოლოო ჯამის გამოსაანგარიშებლად შემცირდება ყველა დანაყოფისათვის ისეთი თანხით, რაც ლიტ. „ვ“-ით გადადებულ ასიგნვას უდრის“.

2. ლიტ, „ე“ შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** ხელმეტი მუშაობისათვის და შვებულებაში წასულთა სამაგიერო მოწვეულთათვის საჭირო ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო შემოსავალში 1928-29 წელს ჩასაბარებელი ეკონომიის ხარჯზე, რაც შეიძლება მოხდეს საშტატო კონტიგენტის შეუვსებელობისა, დროებითი შრომის უუნარობისა, ავადმყოფობისა და კომპლექტის მიუღწეველობის მიზეზით; ამასთანავე სახარჯაღრიცხვო დანიშნულებათა საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხა „ვ“ ლიტერით როგორც მთლად ა/კსფსრ-ში, ისე ა/კსფსრ შეედგენილობაში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო ხელფასის საერთო ფონდის 1 პროცენტს“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ბომბინი.**

1928 წ. ივლისის 24. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 180 №-ში 1928 წ. აგვისტოს 5-ს.

დადგენილება № 15 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის ივლისის 23.

180. მავთულის ლურსმნის ფასებისა და წანამატების შესახებ.

ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1926 წ. მაისის 10-ს თარიღისა და 94 №-რის დადგენილების თანახმად — ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სინდიკატთა და სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთათვის მავთულის ლურსმანზე № 42—100 მმ. მეტრული სორტიმენტით ან 8-4″ ინგლისური კალიბრით. ფრანკო-ვაგონი საერთო სარგებლობის რკ.-გზის დანიშნულების სადგური, თითო ყუთზე წონით 20 კილოგრ. ნეტტო, როდესაც ლურსმანი ნაღდი ანგარიშის გასწორებით გაიყიდება,—შემდეგი მაქსიმალურ უკიდურესი სარაიონო ძირითადი საგასაცემო ფასები:

აზერბაიჯანის სსრ-ში	5	მან.	
სომხეთის სსრ-ში	5	„	20 კაპ.
საქართველოს სსრ-ში	5	„	20 „
ნახიჩევანის ავტ. სსრ-ში	5	„	20 „

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში განსაზღვრული ფასები შეეხება სრულტვირთიან ვაგონებს (ვაგონობით დატვირთის ნორმა—16,6 ტონნა ან 725 ყუთი ლურსმანი).

უკეთუ მყიდველის მოთხოვნით ლურსმანი მიიზიდება არა-სრულტვირთიანი ვაგონებით, გადაზიდვის ღირებულების განსხვავებას გადაიხდის ტვირთის მიმღები ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასების ზედმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად, ე. ი. ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურის ფასების მიხედვით შედგენილი ანგარიშის თანხიდან გამოკლებულ უნდა იქნეს ტვირთის ნამდვილი წონის გადაზიდვის ღირებულება, სავაგონო ტარიფით გამოანგარიშებული; ხოლო მყიდველი ფრახტს გადაიხდის ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

ხოლო, უკეთუ ლურსმანი მიიზიდება არა-სრულტვირთიანი ვაგონებით მწარმოებელ საწარმოთა მიზეზით, მყიდველის ანგარიშის თანხიდან გამოკლებულ უნდა იქნეს რკინის გზით გადაზიდვის ნამდვილი ღირებულება.

შენიშვნა 1. ნავიგაციის დროს ლითონ-მრეწველობას უფლება აქვს გადაზიდოს მავთულის ლურსმანი წყლით ან შერეულად—რკინის გზით და წყალსავალი გზით, რასაც შეუფარდებს იმავე სარაიონო ფასებს ფრანკო—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დანიშნულების პუნქტი.

წყალსავალი გზით და შერეული გზით ლურსმნის გაგზავნის დროს ფრახტს მყიდველი გადაიხდის ნამდვილი ღირებულების მიხედვით; ამასთანავე გადახდილი თანხა გამოკლებულ იქნება მყიდველის ანგარიშიდან.

შენიშვნა 2. მრეწველობის ორგანოებს უფლება აქვთ ლურსმნის სრული დატვირთვით და პარტიობით გაგზავნის დროს, უკეთუ საჭირო ასორტიმენტის ლურსმანი არ მოიპოვება, შესცვალონ არქონებული ზომის ლურსმანი უახლოესი ზომისა და №№-ბის ლურსმნით, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ამრიგობაზე გასაგზავნი ლურსმნის რაოდენობის 3 პროცენტის ფარგალში.

3. სარკინისგზო ან წყალსავალი გზის ფრახტის ფაქტიურ ღირებულებას გადაიხდის ტვირთის მიმღები, რა თანხასაც გამყიდველი ჩამოსწერს მყიდველის ანგარიშიდან. ის განსხვავება, რაც შეიძლება იყოს იმ თანხასა, რომელსაც მყიდველი გადაიხდის სატრანსპორტო დოკუმენტებით რკინის გზის სრულტვირთიანი ვაგონებით და წყალსავალი გზით გადაზიდული ლურსმნის მიღების დროს, ტვირთის რაოდენობის მიუხედავად, და იმ თანხას შორის, რასაც გამყიდველი ჩამოსწერს მყიდველის ანგარიშიდან,—აენაზღაურება ამა თუ იმ მხარეს—კუთვნილებისამებრ—ანგარიშის შემდგომი გასწორებით. აღნიშნული განსხვავების მისაღებად ლურსმნის მიმღები წარუდგენს გამყიდველს გამოსყიდულ სატრანსპორტო დოკუმენტს მიმღების საგადასაცემო ზეწარწერით.

შენიშვნა 1. უკეთუ განსხვავება თვითეულ სატვირთო ბარათზე 2 მ. ნაკლებია, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ნაკლებ-აღება ან მეტ-აღება სისტემატიურად ჰხდება, გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოებთან ანგარიშის გასწორების დროს, მხარეთ უფლება არა აქვთ ერთმანეთს პრეტენზია წარუდგინონ.

შენიშვნა 2. ტვირთის დაკლებისა და ვაფუჭებისათვის გზაში ტვირთის მიმღებმა ზარალი უშუალოდ გზათა სახალხო კომისარიატის ორგანოების წინააღმდეგ უნდა ისარჩელოს.

4. სატრანზიტო ოპერაციების დროს გამყიდველის მიერ მიცემული კრედიტის ღირებულებას გადაიხდის მყიდველი; ამასთანავე სადისკონტო პროცენტი არ უნდა აღემატებოდეს იმ ბანკის სადისკონტო პროცენტს, სადაც გამყიდველი კრედიტს იღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. უკეთუ სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნით ლურსმანი მიიზიდება ტრანზიტით 150 ყუთზე ნაკლები რაოდენობით ერთი ადრესზე, გამყიდველს უფლება აქვს გადაახდევინოს მყიდველს, ამ დადგენილების 1-ლ მუხლში და მე-2 მუხლის შენიშვნებში აღნიშნული ფასების გარდა, დამატებით კიდევ 6 კაპ. თითო ყუთზე.

6. ზედნაფასი და მონაკლები ამა თუ იმ ზომის მავთულის ლურსმანისათვის უნდა დაერთოს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში განსაზღვრულ ფასებს უმაღლესი სამეტალურგო საბჭოს მიერ 1926 წ. გამოცემული შავი ლითონის ზედნაფასების პრეისკურანტით, რაც დამტკიცებულია სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 4-ს დადგენილებით „უმაღლესი სამეტალურგო საბჭოს მიერ გამოცემული შავი მეტალის პრეისკურანტის დამტკიცების შესახებ“ (ჟურნ. „სოვეტსკაია ტორგოვლ.ა“-ს 1927 წ. აპრილის 10-ის თარიღისა და 20-21 №-ის დანართი, გვ. მე-3); ამ პრეისკურანტის თანახმად ყველა აღნიშნული ზედნაფასი და მონაკლები შეეფარდება ლურსმანს მე-10 (34) №-დე 1,5 კოეფიციენტით, 10 (34) №-ზე ზევით მე-19 (11) №-დე—2 კოეფიციენტით. ხოლო მე-19 (11) №-ზე უმაღლესი №-ის ლურსმნისათვის, სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 1-ის თარიღის დადგენილების მე-7 მუხლის დამატებად, დადასტურებულ იქნეს გაძვირების კოეფიციენტი 3,5 რაოდენობით, რასაც შეაფარდებენ ხოლმე მრეწველობის ორგანოები.

7. ცენტრალურ კავშირსა, სასოფლო კავშირსა და მათ მოწილადეთ გენერალურ და სხვა ხელშეკრულებებში უფლება აქვთ ლურსმნის სატრანზიტო გაყიდვის დროს დაადონ 1-ლ მუხლში აღნიშნულ ფასებს მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატი—ზედნაფასების მიმატებით, ამა დადგენილების მე-6 მუხ. თანახმად, არა უმეტეს 2 პროც. რაოდენობისა.

8. ყველა სხვა მოვაჭრე ორგანიზაციას, რომელიც-კი ამა დადგენილების მე-7 მუხლში ჩამოთვლილი არ არის, უფლება აქვს ლურსმინის სატრანზიტო გაყიდვის დროს დაუმატოს ამა დადგენილების 1-ლ და მე-6 მუხ. აღნიშნულ ფასებს არა უმეტეს 3 პროცენტისა.

შენიშვნა მე-7 და მე-8 მუხლებისა. იმ შემთხვევაში, როდესაც ლურსმანი გაიყიდება კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის მეშვეობით ტრანზიტად, დაწყებული ცენტრალური საფეხურიდან ძირეულ ცალობით საფეხურამდე, საშუალო საფეხურის შუამავლობით,—ცენტრალურ და საშუალო საფეხურებს ერთად უფლება აქვთ დაადონ ამა დადგენილების 1-ლ და მე-6 მუხლებში აღნიშნულ ფასებს წანამატი, საერთოდ, არა უმეტეს 3,5 პროცენტისა.

ხოლო, უკეთუ ლურსმანი გაიკლის მარტოოდენ საშუალო საფეხურამდე—სატრანზიტო წანამატი დაიდება მხოლოდ ერთჯერ, იმისდამიუხედავად, თუ რამდენჯერ იქნება საქონლის უწყებული პარტია ხელახლად გაყიდული.

9. დაწესებულ იქნეს ლურსმნის გაცემის შემდეგი ნორმები, რომლითაც განისაზღვრება ლურსმნის ბითუმი, ნახევრად-ბითუმი და ცალობითი ყიდვა-გაყიდვა:

	ცალობითი	ნახ. ბითუმი	ბითუმი
მავთულის ლურსმანი .	5 ყუთ. ნაკლები	5-დან 100 ყუთ-დე	100 ყუთზე მეტი.

შენიშვნა. სოფლად ცალობით მოვაჭრე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციას ნახევარ-საბითუმო ვაჭრობისათვის დაწესებულ ნორმაზე ნაკლები ლურსმანი მიეყიდება ნახევარ-საბითუმო ფასად.

10. მავთულის ლურსმნის გაცემისათვის მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებიდან ბითუმად, ნახევარ-ბითუმად და ცალობით დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი ზედნართი კაპიკობით თითო ყუთზე:

	ქ. ქ. ტფილისსა, ბაქოს და ერევნისათვის.	ა/კსფსრ სხვა ადგილებისათვის.
ბითუმად	42 კაპ.	48 კაპ.
ნახევარ-ბითუმად	60 კაპ.	72 კაპ.
ცალობით	108 კაპ.	150 კაპ.

შენიშვნა 1. ზემოაღნიშნულ მაქსიმალურ-უკიდურეს ზედნართებში მოქცეულია იმ კრედიტის ღირებულება, რასაც მრეწველობის ორგანოები მისცემენ სავაჭრო ორგანიზაციებს.

შენიშვნა 2. წვრილ-ცალობით ლურსმნის გაყიდვისათვის, ე. ი. ერთ ყუთზე ნაკლებისათვის, ამა დადგენილებით გათვალისწინებული ზედნართები გადიდებულ იქნება არა უმეტეს 18 კაპიკისა თითო ყუთზე.

შენიშვნა 3. აღნიშნულ მაქსიმალურ-უკიდურეს ზედნართებს ყველა ადგილისათვის, ტფილისსა, ბაქოს და ერევნის გარდა, დაემატება საშუალო ღირებულება რკინის გზის სადგურიდან გაყიდვის ადგილამდე ლურსმნის მიზიდვისა.

11. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რეპუბლიკებში დააწესონ კერძო ვაჭრობისათვის მავთულის ლურსმნის ფასებზე წანამატები ადგილობრივი ვაჭრობის პირობების მიხედვით.

12. მოვაჭრე ორგანიზაციების საწყობებიდან ბითუმად და ნახევრ-ბითუმად ლურსმნის ნისიად გაყიდვის დროს კრედიტის ღირებულებას გადაიხდის მყიდველი ამა დადგენილებით დაწესებული ფასების ზედმეტად, იმ რაოდენობით, რაც დაჰფარავს გამყიდველის მიერ გაცემულ კრედიტზე გაწეულ ფაქტიურ ხარჯს.

13. დადგენილება ესე ძალაში შედის:

ა) სატრანზიტო ოპერაციებისათვის—ა/წ. მაისის 15-დან და გავრცელდება ყველა წინად დადებულ გარიგებაზე საქონლის იმ ნაწილის მიმართ, რაც ჩაბარებული არ იქნება აღნიშნული ვადისათვის;

ბ) სასაწყობო, საბითუმო, ნახევრად-საბითუმო და ცალობითი გაყიდვისათვის—დღიდან ამა დადგენილების გამოცემისა.

14. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „მშენებლობის ღირებულების შემცირების შესახებ“ 1928 წ. მარტის 20-ს თარიღით გამოცემული (სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კომ-ტის „იზვესტია“-ს 79 №-რი 1928 წ. აპრილის 3-სა) დადგენილების თანახმად—დაევალოს სინდიკატებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სამრეწველო ორგანიზაციებს, რომელთაც საამშენებლო ორგანიზაციებისათვის ხელშეკრულებებით მავთულის ლურსმანი მიუყიდიათ, ხელახლა გაუსწორონ მათ ანგარიში იმ ლურსმნისათვის, რაც უკვე მიუზიდიათ 1927 წ. ნოემბრის 15-დან დაწყებული პერიოდის განმავლობაში, ვიდრე 1928 წ. მაისის 15-დე, რისთვისაც არსებულ ძირითად საგასაცემო ფასებს—ფრანკო ვაგონი გაგზავნის სადგური—უნდა დაიკლონ 4 პროცენტი.

15. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

16. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბეკზადიანი.**

საქმეთა მმართველი **შახოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 181 №-ში 1928 წ. აგვისტოს 7-ს.

განმარტება № 5 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 2.

181. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობებისათვის ზედამხედველობის გაწევის შესახებ.

რესპუბლიკანური შრომის სახალხო კომისარიატებისაგან მიღებული შეკითხვების გამო, თუ რა წესით უნდა იქნეს განხორციელებული ზედამხედველობა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობებისათვის, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, სსრკ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კსფსრ-ში) შეთანხმებით, განმარტავს:

„სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობების შესახებ" 1927 წ. აგვისტოს 17-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 48 №-რი, მუხ. 492) სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-4 და 5 მუხლებით გათვალისწინებული დადგენილებები და ინსტრუქციები გამოცემულ იქნენ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა, რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს მიერ ჯერ კიდევ სსრკ ცენტრალური აღმასრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1927 წ. აგვისტოს 17-ს, დედგენილების გამოცემამდე და მოქმედებენ ამ ჟამადაც.

სამხედრო უწყების მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობებისათვის ზედამხედველობის გაწევის წესის საკითხის გამო მოქმედობს რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს და სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. დეკემბრის 28 თარიღისა და 324/417 №-ის ინსტრუქცია „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ამა თუ იმ საწარმოში შრომის ინსპექტორების მიშვების წესის შესახებ („სამხ. და საზღვ. საქმ. სახ. კ-ტის ცირკულიარების კრებული 1926 წ. მე-9 №-რი და „სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. მე-2 №-რი).

კერძოდ, სამხედრო უწყების დაწესებულებასა და საწარმოში ადგილობრივი კომიტეტებისა და საკონფლიქტო-შემფასებელი კომისიების მოწყობისა და მოქმედებისა და კონფლიქტების გადაწყეტის წესის საკითხის გამო მოქმედობს: 1) რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს 1925 წ. დეკემბრის 15-ს თარიღისა და 192/327/26 №-ის ბრძანება „სამხედრო უწყებაში მომსახურე პირთა პროფესიონალური კავშირების წევრობისა და სამხედრო უწყების დაწესებულებასა და საწარმოში მუშათა და მსახურთა კომიტეტების მოწყობის დებულების სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ"; 2) დებულება „სამხედრო უწყებაში მომსახურე პირთა პროფესიონალური კავშირების წევრობისა და სამხედრო უწყების დაწესებულებასა და საწარმოში მუშათა და მსახურთა კომიტეტების მოწყობის შესახებ", რომელი დებულებაც დამტკიცებულია რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრ. საბჭოს მიერ 1925 წ. დეკემბრის 15-ს, 326/25 №-ით და გამოქვეყნებულია სსრკ რევ. სამხ. საბჭოს ბრძანებათა კრებულში 1925 წ. და „სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. მე-6 №-ში და 3) სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1926 წ. იანვრის 18-ს თარიღისა და 17/32 №-ის ცირკულიარი „სამხედრო უწყებაში მომსახურე პირთა პროფესიონალური კავშირების წევრობისა და სამხედრო უწყების დაწესებულებასა და საწარმოში მუშათა და მსახურთა კომიტეტების მოწყობის დებულების შესახებ" („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია"-ს 1926 წ. მე-6 №-რი).

ამის გამო სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ნებისად დაქირავებულ მუშათა და მსახურთა შრომის პირობებისათვის ზედამხედველობის გაწევის დროს რესპუბლიკანურმა შრომის სახალხო კომისარიატებმა და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ რევოლიუ-

ციონური სამხედრო საბჭოს, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებები, ბრძანებები და ინსტრუქციები.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი**.

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის საორგ. განყოფ. გამგე **ათაბეკოვი**.

შეთანხმებულია სსრკ სამხ. და საზღვაო საქმეთა
სახალხო კ-ტის რწმუნებულთან ა/კსფსრ-ში.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს 186 №-ში 1928 წ. აგვისტოს 12-ს.

დადგენილება № 112 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 25.

182. საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე მცირეწლოვანი, მოზარდი და მოზარდობას-გადასული შეგირდების შრომის პირობების შესახებ.

„საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლების მოზარდობას-გადასული შეგირდების შრომის პირობების შესახებ" გამოცემული სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. თებერვლის 21-ს თარიღისა და 112 №-ის დადგენილების თანახმად და „საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო და სამშენებლო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე მცირეწლოვანთა და მოზარდთა სამუშაო დღის შესახებ" გამოცემული ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ოქტომბრის 6-ს თარიღისა და 72 №-რის დადგენილებისა და „ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ოქტომბრის 6-ს თარიღისა და 72 №-ის დადგენილების შეცვლის თაობაზე" გამოცემული ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. თებერვლის 23-ს თარიღისა და მე-19 №-ის დადგენილების გასაუქმებლად—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე, სწავლების უკანასკნელ წელიწადზე მყოფი მცირეწლოვანი, მოზარდი და მოზარდობას-გადასული შეგირდების მუშაობის საერთო ხანგრძლივობა წარმოებაში, თეორეტიულ მეცადინეობასთან ერთად, არ უნდა აღემატებოდეს საერთოდ 8 საათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე, სწავლების 1-ლ და მე-2 წელიწადზე მყოფი მცირეწლოვანი და მოზარდი შეგირდების სამუშაო დღის ხანგრძლივობა საწარმოში არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს, ხოლო სწავლების მე-3 და მე-4 წელიწადზე მყოფთათვის—6 საათს.

3. საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში მოსწავლე, სწავლების უკანასკნელ წელიწადზე მყოფი, მოზარდობას-გადასული შეგირდებისათვის (18 წლის ასაკისა და უფროსთათვისაც) სამუშაო დროის ხანგრძლივობა საწარმოში დაწესდება არა უმეტეს 6 საათისა და მათზე არა ვრცელდება არასრულწლოვანთა შრომის პირობების თაობაზე მომქმედი კანონების ის ნაწილი, რაც შვებულებასა და სამუშაო ხელფასს შეეხება.

4. საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლებში სწავლების უკანასკნელი წლის წინა წელიწადზე მყოფ, მოზარდობას-გადასულ შეგირდებზე ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული შრომის პირობების გავრცელების საკითხი გადასწყდება თვითეულ ცალკე შემთხვევაში საწარმოს ადმინისტრაციის განსაკუთრებული შეთანხმებით სათანადო პროფესიონალურ კავშირთან.

5. ინდივიდუალური და საბრიგადო შეგირდობის წესით მოსწავლე და, საერთოდ, საფაბრიკო-საქარხნო, საკონტორო-სავაჭრო, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო შეგირდობის სკოლების გარეშე მოსწავლე, მოზარდობას-გადასული შეგირდების შრომის პირობები მოწესრიგდება ასაკოვანთა შრომის შესახებ არსებული საერთო კანონებით.

6. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, ამა დადგენილების გამოცემისათანავე, გაიუქმონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში მომქმედი ყველა ის დადგენილება, რაც-კი ამა დადგენილებას ეწინააღმდეგება.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის დაცვის განყ. გამგე **შახსუვარიანი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 187 №-ში 1928 წ. აგვისტოს 14-ს.

№ 17 ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტება № 13 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივნისის 14.

183. სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ, რაც დაკავშირებულია მშრომელთა დათხოვნასთან.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოარკვია, რომ სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოების გადაწყვეტილებები—სამსახურიდან მშრომელთა დათხოვნის შესახებ—ხშირად არ ხორციელდება ხოლმე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ერთი კვირის ვადაზე, ხოლო კერძო შემთხვევებში, მომუშავეთათვის რთული საქმეებისა და უფლებამოსილობის გადაცემის დროს, ისეთ ვადაზედაც, რასაც სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოები აწესებენ.

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციას კარგა ხნობით არ განუხორციელებია სამომრიგიბლო-საკონფლიქტო ორგანოს გადაწყვეტილება—მშრომელის დათხოვნის შესახებ,—დაუკისრებია მისთვის სამუშაო, დაუდგია ახალი გადასახდელიც-კი და ერთი-ორი თვის გასვლის შემდეგ, დღიდან სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოს გადაწყვეტილებისა, განუცხადებია მისთვის დათხოვნა ძველი გადაწყვეტილების საფუძველზე, გარეშე რაიმე ახალი საბაბისა დათხოვნისათვის.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება აღიძრას სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოების იმ გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს, რასაც კავშირი აქვს სამსახურიდან მშრომელის დათხოვნასთან, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოს გადაწყვეტილებას, შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტების მიხედვით გამოტანილს, ძალა აქვს აღსრულებისათვის მხოლოდ პირველი 7 დღის ან სამომრიგებლო-საკონფლიქტო ორგანოს მიერ გადაწყვეტილებაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან.

ის დამქირავებელი, რომელიც არ განახორციელებს აღნიშნულ ვადაზე გადაწყვეტილებას დათხოვნის შესახებ, უფლებასა ჰკარგავს მომუშავის დათხოვნისას, უკეთუ დათხოვნისათვის არ არსებობს ახალი რამ საბაბი, შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებული.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სატარ.-საკონფ. განყ. გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან: **ოდილავაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 188 №-ში 1928 წ. აგვისტოს 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 108 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წლის ივლისის 16.

1—4. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების მიერ დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, რა დადგენილებაც შეეხება სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეების პასუხისმგებლობას, რომელთაც მინდობილი აქვთ ქონებრივი ფასეულობა (გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 158 (1824) №-ში), ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული წესები სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების მიერ დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე **ათაბეკოვი.**

წ ე ს ე ბ ი

სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოთა, დაწესებულებათა და საწყობთა სავაჭრო დარგის მოსამსახურეების მიერ დამქირავებლის ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილება ვრცელდება სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო დაწესებულებათა და საწარმოთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეებზე და აგრეთვე ტრესტებისა და სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედი შერეული სააქციო საზოგადოებების საწარმოთა სავაჭრო დარგის იმ მოსამსახურეებზე, რომელთაც მინდობილი აქვთ, სათანადო პასუხისგებით, ქონებრივი ფასეულებანი, მათ შორის ბითუმი და ცალობითი ვაჭრობისათვის დანიშნული სასაქონლო ფასეულობანიც.

2. სავაჭრო დარგის მოსამსახურე (მუხ. 1) პასუხს აგებს დამქირავებლისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის გამო იმ შემთხვევაში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) როდესაც სავაჭრო დარგის მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დაუდევრად შესრულების გამო საქონელს დააკლდება დაწესებულ ნორმაზე მეტი. დანაკლისების ნორმა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საორიენტო ნორმების თანახმად. ასეთი შეთანხმების დადება სავალდებულოა სამეურნეო ორგანოებისათვის სისხლის სამართლის წესისამებრ პასუხისმგებლობის რიდით.

ბ) როდესაც მოსამსახურე არასათანადოდ დახარჯავს მისთვის სამეურნეო საჭიროებისათვის მინდობილ თანხას ან ზრ დააბრუნებს ამ თანხის არადახარჯულ ნაწილს.

ავანსის ხარჯვისა და დაბრუნების წესი განისაზღვრება სსრკ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, საგარეო და შინა ვაჭრობისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მიერ 1926 წ. ნოემბრის 3-ს დამტკიცებული წესებით „კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში ანგარიშსავალდებულო თანხების (ავანსების) გაცემისა და ხარჯვის შესახებ“ („სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვესტია“-ს 1927 წ. 1-ლი №-რი) და სხვა წესებით, რაც შეიძლება საამისოდ გამოცემულ იქნეს.

გ) როდესაც დამქირავებელს მიეყენება მატერიალური ზიანი სავაჭრო დარგის მოსამსახურის არაწესიერი მოქმედებით, რამაც გამოიწვია ის გარემება, რომ დამქირავებელი იძულებული გახდა ზედმეტი თანხა გადაეხადნა (მაგალითად, მოსამსახურის მიზეზით დაწესებულებისა და საწარმოს ხვედრი გადასახადისა, სოციალური დაზღვევის გადასახადისა, კომუნალური მომსახურეობის სასყიდლისა და სხვ. ვადაზე შეუტანლობის გამო), ან როდესაც დამქირავებელს მიეყენება ზიანი იმის გამო, რომ ფულადმა დოკუმენტებმა დაჰკარგეს ფასი მთლად ან ნაწილობრივ, მაგალითად ვექსილის საპროტესტოდ ვადაზე წარუდგენლობა და სხვა.

დ) როდესაც დამქირავებელს მიეყენება ზარალი სავაჭრო დარგის მოსამსახურის ისეთი მოქმედებით, რისთვისაც იგი დევნილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის წესით ან სადისციპლინო სასამართლოს წესით.

3. სავაჭრო დარგის მოსამსახურე მატერიალურად პასუხს აგებს ა/ესეფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილების წესისამებრ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს პასუხისგება გათვალისწინებულია სპეციალური ხელშეკრულებით, ან უკეთუ სათანადო მუხლი მოთავსებულია დაქირავებულის ანგარიშგასწორების წიგნაკში ან ინდივიდუალურ (წერილობით) შრომის ხელშეკრულებაში, ვინაიცობაა ეს ხელშეკრულება დადებულ იქნა.

4. ასანაზღაურებელი ზიანის გამორკვევის დროს სასამართლო ორგანომ ანგარიშში უნდა მიიღოს არა მარტო მიყენებული ზარალი, არამედ აგრეთვე ის კონკრეტული ვითარება, რომელშიაც ეს ზარალი იქნა მიყენებული და თვნაც სავაჭრო დარგის მოსამსახურის მატერიალური მდგომარეობა. არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს მშრომელს ისეთი ზიანისათვის, რაც ნორმალურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო-სამეურნეო რისკის კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, აგრეთვე არ შეიძლება დამჭირავებლის მიერ დაკარგული გამოსარჩენის გადახდევინება.

5. მოსამსახურის სამუშაო ხელფასიდან დასაჭერი ფულის რაოდენობა იმ ზიანის დასაფარავად, რაც ანაზღაურებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 53 №-ის დადგენილებისა და ამ წესების თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესაფერი მუხლებით განსაზღვრულ რაოდენობას.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

საერთო-საორგანიზაციო განყოფ. გამგე **ათაბეკოვი.**

შეთანხმებულია ა/კ. პროფკავშირთა საბჭოსთან:
(1928 წ. მარტის 24 თარიღისა და 36014 №-ის მიმართვა)

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 189 №-ში 1928 წ. აგვისტოს 16-ს.

განმარტება № 20 ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. ივლისის 14.

185. თანამდებობათა ჯამაგირის რაოდენობისა და დახასიათების საკითხების გამო აღძრული კონფლიქტების შესახებ, რის განხილვაც საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიებს არ ექვემდებარებათ ისეთ დაწესებულებებში, სადაც შემოღებულია სახელმწიფოებრივი დანორმვა.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

იმ დაწესებულებაში, სადაც განხორციელებულია სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვა, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას არ შეუძლიან განიხილოს ამ დაწესებულების საშტატო განაწერით გათვალისწინებული სათანამდებობო ჯამაგირების რიცხვისა და რაოდენობის შეცვლისა და თანამდებობათა დახასიათების საკითხები.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგიის წევრი და სატარიფო-
საკონფლიქტო განყოფილების გამგე **სიზოტენკო.**

შეთანხმებულია: ა/კ. პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე **ოდილოვაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 190 №-ში 1928 წ. აგვისტოს 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

186. ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ჩატარების კამპანიის პერიოდში ა/კსფსრ ტერიტორიაზე ლოტერეებისა და სხვა გათამაშებათა მოწყობის აკრძალვის შესახებ.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხზე ხელის მოწერის კამპანიის დაწყების გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს 1928 წლის ნოემბრამდე ა/კსფსრ ტერიტორიაზე ამა თუ იმ დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიერ,—თავდაცვისა და საავიაციო-საქიმიო მშენებლობის მეგობართა საკავშირო საზოგადოებისა და მშრომელ ებრაელთა მიწათმოწყობის საკავშირო საზოგადოების გამოუკლებლივ,—ლოტერეებისა და სხვა გათამაშებათა მოწყობა.

2. ნებადართული ლოტერეები გადატანილ იქნეს იმ დროისათვის, როდესაც დამთავრდება ხელისმოწერა აღნიშნულ სესხზე.

3. დაევალოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ ამა დადგენილების შესაფერი კანონები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. იგვისტოს 16. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 191 №-ში 1928 წ. აგვისტოს 18-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქცია № 5 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატისა.

1—7. სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში დაქირავებისა და დათხოვნის უფლების მქონე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და სასყიდლის გაცემის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევისათვის.

(ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 14-ს თარიღისა და 54 №-ის დადგენილების შეფარდებისათვის).

მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში შრომის კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ საბრძოლველად და „მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში უკანონო მოქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანისათვის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის ივნისის 14-ს თარიღის დადგენილების (გამოქვეყნებულია „ხარია ვოსტოკა-ს 153 №-ში 1928 წ. ივლისის 4-ს) მე-2 მუხლის თანახმად — ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ადგენენ:

1. მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევა გამოიწვევს ამა ინსტრუქციაში აღნიშნულ შემთხვევაში და წესისამებრ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლისა, ადმინისტრატიულისა და დისციპლინარული წესით და აგრეთვე მატერიალურ (სამოქალაქო) პასუხისმგებლობას.

2. მუშა-ძალის დაქირავების წესის შესახებ არსებული კანონმდებლობის დარღვევა, კერძოდ, დემობილიზაციით განთავისუფლებულებისათვის, მოზარდებისათვის, სტაჟერებისათვის და პრაქტიკანტებისათვის სამუშაოს მიცემის წესების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში — აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში — სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მუშა-ძალის მასსიური და ჯგუფური მოგროვება შრომისტეკვი კაპიტალური სამუშაოს და სასეზონო სამუშაოს შესასრულებლად და ამ მუშა-ძალის გაგზავნა ა/კსფსრ-ის გარეშე მდებარე ადგილიდან ა/კსფსრ-ში ან ა/კსფსრ-ში შემავალ ერთ-ერთ რესპუბლიკაში—თვინერ სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის წინასწარი თანხმობისა; ხსენებული მუშა-ძალის გაგზავნა ა/კსფსრ-ში შემავალი ერთ-ერთ რესპუბლიკიდან მეორე ასეთსავე რესპუბლიკაში—თვინიერ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის თანხმობისა, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფარგლებში ერთი ადგილიდან მეორე ადგალას—თვინიერ ამ რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის თანხმობისა—გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შუმავალი რეპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სისხლის სასამართლის კოდექსის 139 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით).

4. შეუსრულებლობა მუშების დაქირავების პირობებისა, რაც განცხადებული იყო თვით მუშების მოგროვების დროს (შრომის პირობები, სასყიდელი, გზის ხარჯი, უზრუნველყოფა ბინით), გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 138 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით).

5. დარღვევა მუშა-ძალის დაქირავების წესისა, რაც განსაზღვრულია კოლექტიური ხელშეკრულებით, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 140 მუხ. მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 169 მუხ. მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლის მიხედვით).

6. არაწესიერი დათხოვნა, ე. ი. დათხოვნა მომქმედი კანონმდებლობის ან კოლექტიური ხელშეკრულების იმ წესების დარღვევით, რაც დათხოვნის საფუძვლებს ეხება, აგრეთვე დათხოვნის წესის გარანტიის (სათანადო შემთხვევაში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და პროფკავშირის საბჭოს სანქცია) დარღვევით, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილისა და 140 მუხ. მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

168 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწილისა და 169 მუხ. მიხედვით და სომხეთის სსრ ში სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით).

7. აუსრულებლობა სასამართლო და საკონფლიქტო ორგანოების დადგენილებებისა არაწესიერად დათხოვნილ მუშათა და მოსამსახურეთა თანამდებობაზე აღდგენის შესახებ გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით).

8. არაკეთილსინდისიერი გაჰიანურება კონფლიქტისა, რაც არაწესიერი დათხოვნის გამო აღიძრა, გამოიწვევს პასუხისმგებლობას დისციპლინარული წესით, ხოლო, უკეთუ სახელმწიფოს ზიანი მიეყენება—პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხ. მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით.

9. შეუსრულებლობა სამუშაო ხელფასის გაცემის ვადების წესებისა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 139 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 168 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით და სომხეთის სსრ-ში—სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერი მუხლის მიხედვით.

ხოლო დარღვევა სამუშაო ხელფასის გაცემის ვადებისა, რაც განსაზღვრულია კოლექტიური ხელშეკრულებით, გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 140 მუხ. 1-ლი და მე-2 ნაწილის მიხედვით, უკეთუ შესრულებულია ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები; აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში—ამ რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაფერი მუხლების მიხედვით).

10. დარღვევა შრომის სასყიდლის გაცემის წესებისა გამოიწვევს პასუხისმგებლობას დისციპლინარული წესით, ხოლო დამამძიმებელ პირობებში, რაც აღნიშნულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებში (საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 114 მუხ.; აზერბაიჯანის სსრ-ში—აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხ. და სომხეთის სსრ-ში—

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერ მუხლში),—პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის წესით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზემოაღნიშნული მუხლების მიხედვით, უკეთუ:

ა) წარვლინებისათვის სასყიდელი გაცემულია კანონში აღნიშნული ნორმების ზედმეტად;

ბ) სამუშაო ხელფასი გაცემულია ავადმყოფობის დროს იმ დღეებისათვის, რისთვისაც სასყიდელს იხდის დამზღვევი სალარო;

გ) გაცემულია კომპენსაცია გამოუყენებელი შვებულებისათვის კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რაოდენობაზე ზედმეტად;

დ) გაცემულია სასყიდელი ისეთ სხდომაში და კომისიაში მონაწილეობისათვის, რომლისთვისაც სასყიდელი კანონით გათვალისწინებული არ არის;

ე) გაცემულია ესა თუ ის დამატებითი ხასიათის გასამრჯელო, რაც კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის;

ვ) გაცემულია სპეციალური განაკვეთი იმ შემთხვევაში, როდესაც არ მოიპოვებოდა სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული სპეციალური ფონდი, აგრეთვე, უკეთუ დახარჯულია დამტკიცებულ სპეციალურ ფონდზე ზედმეტი;

ზ) მიცემულია სასყიდელი პასუხისმგებელ მომუშავეთა ტარიფით ისეთი პირებისათვის, რომელნიც გათვალისწინებულ არ არიან სსრკ შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ნუსხით.

11. ადმინისტრატრატიული წესით ვისიმე პასუხისგებაში მიცემა შეიძლება იმ შემთხვევაში, უკეთუ ჩადენილ დარღვევას,—შრომის კანონთა და განკარგულებათა იმ ნუსხის თანახმად, რასაც გამოსცემს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით,—შეუძლიან გამოიწვიოს პასუხისმგებლობა ადმინისტრატიული წესით, ან, უკეთუ თვით დარღვეულ კანონში პასუხისმგებლობა მისი დარღვევისათვის გათვალისწინებულია ადმინისტრატიული წესით.

12. მუშათა და მოსამსახურეთა დაქირავებისა, დათხოვნისა და შრომის სასყიდლის გაცემის სფეროში მომქმედი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე აღძრულ საქმეთა სისხლის სამართლის ან დისციპლინარული წესით განხილვის დროს ცალკე უნდა იყოს აღძრული საკითხი თანამდებობის ჰირის მოვალეობის შესახებ—აუნახლაურის დაწესებულებას თუ საწარმოს ზემოაღნიშნულ დარღვევათა გამო მიყენებული ზიანი.

13. დაწესებულება და საწარმო მოვალეა ყოველთვე წარუდგინოს ამ დაწესებულების ან საწარმოს სათავეში მდგომ ჰირს ცნობები სამუშაოზე მიღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და დათხოვნილი მუშებისა და მოსამსახურეების შესახებ და აგრეთვე უწყებული თვის განმავლობაში აღძრული კონფლიქტების შესახებ.

შენიშვნა. შრომის ინსპექტორს, დაწესებულებისა თუ საწარმოს გამოკვლევის დროს, აღნიშნული ცნობები წარედგინება გასასინჯად.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის
სახალხო კომისარი **ხუმარიანი.**

ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარი **გაბიევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 193 №-ში 1928 წ. აგვისტოს 22-ს.

დადგენილება № 119 ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა.

1928 წ. აგვისტოს 15.

188. წესები საშენი მასალის მწარმოებელ და დამმზადებელ სამრეწველო საწარმოთა მშენებელი მუშებისათვის და სასეზონო მუშებისათვის გაადვილებული ტიპის დროებითი ბინების მოწყობის შესახებ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივლისის 7-ს თარიღისა და 375 №-ის სავალდებულო დადგენილება „წესები საშენი მასალის მწარმოებელ და დამმზადებელ სამრეწველო საწარმოთა მშენებელი მუშებისათვის და სასეზონო მუშებისათვის გაადვილებული ტიპის დროებითი ბინების მოწყობის შესახებ".

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახალხო კ-ტის კოლეგიის წევრი და
შრომის დაცვის განყოფილების გამგე **შახსუვარიანი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 195 №-ში 1928 წლის აგვისტოს 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეცდომის გასწორება:

ა/კსფსრ კანონთა კრებულის 1928 წ. მე-9 №-ის 92 მუხლში

დაბეჭდილია:	**უნდა იყოს:**
უკანასკნელი აბზაცის ლიტ. „დ“-ში „173 და 184 მუხლებში აღნიშნული დახმარების გაცემის პირობებს“...	„181 და 184 მუხლებში აღნიშნული დახმარების გაცემის პირობებს“...

საქართველოს საბჭომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 1817. დაიბეჭდა 1000.